

ალექსანდრე ორჯონიკიძე

არქაული ელემენტები ბედენურ კერამიკაზე

გასული საუკუნის 30-იანი წლების თრიალეთის ბრწყინვალე აღმოჩენებმა იმთავითვე განაპირობა მანამდე უცნობი კულტურის, შემდგომში ბედენურად წოდებულის, შესწავლის აუცილებლობა. მომდევნო ხანებში წარმოებულმა ინტენსიურმა კვლევამ ამ კულტურის არეალი მნიშვნელოვნად გაზარდა და ბედენური ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე გამოავლინა. ძირითადად ყორღანული სამარხებით წარმოდგენილი ეს კულტურა სრულიად ახალი ტიპის კერამიკას შეიცავდა, რომელსაც ადგილობრივი წანამძღვრები არ უჩანდა. სამაგიეროდ მრავალი მჭიდრო დამაკავშირებელი ელემენტი აღმოაჩნდა მას საქართველოს ფარგლებს გარეთ გავრცელებულ ადრეულ კულტურებში [Burney 1958; გოგაძე 1972; გობეჯიშვილი 1981]. სწორედ ახალი ელემენტების ერთობლიობას უწოდებენ კიდევ ბედენის კულტურას [შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, ნარიმანიშვილი 2016:33].

სამეთუწეო მორგვის გამოყენების გარეშე, ხელით ნაკეთები მისი ხარისხიანი კერამიკა შესანიშნავადაა ორნამენტირებული ფაქიზი ნაკანრით, წერტილებით, ლარებით, „მარგალიტებით“, კოპებითა და სხვა ხერხებით. ზედაპირი ხშირად იმდენად მაღალ დონეზეა გაპრიალებული, რომ ლითონისებრი ბზინვარება აქვს მიღებული. მდიდრული და მრავალფეროვანი სამარხეული ინვენტარი მიცვალებულისათვის ჩასატანებლად სპეციალურად შერჩეულ-დამზადებულ ნივთებს შეიცავს. მასში ნაკლებადაა ყოველდღიური ხმარებისთვის განკუთვნილი სამეურწეო დანიშნულების თიხის ჭურჭელი, რომლის გამოვლენა ძირითადად ნასახლარების შესწავლასთანაა დაკავშირებული. მანამდე კი ძნელი წარმოსადგენი იყო შესანიშნავი კერამიკის გვერდით ცუდად გამომწვარი, არქაული იერის მქონე, უხეში თიხის ჭურჭლის არსებობა. მისი ზედაპირი ხშირად დაფარულია სავარცხლისებრი უსისტემოდ დაღარული ზოლებით ან შელესილია თხიერი თიხით; მხარზე შემოუყვება რელიეფური, ჩანაჭდევეებიანი რანტი. გვხვდება ტაფისებრი ჭურჭელი ძირზე წრიული ან სპირალური თოკისებრი ანაბეჭდის კვალით. პირქვეშ გამონვამდე გაკეთებულია ნასვრეტების მწკრივი, აქვს კოპები და შვერილებიც.

ამგვარი კერამიკა, თანმხლები მასალის გათვალისწინების გარეშე, ხშირად გამხდარა ძეგლის გაუმართლებელი დაძველების

მიზეზი – არქაული ნიშნების არსებობა ადრეული ტრადიციების შემონახვასაც ხომ შეიძლება უკავშირდებოდეს, როგორც ეს სამცხეში გათხრილ ორჭოსნის ნასახლარის ორმოთა მასალაზეა შენიშნული [ორჯონიკიძე 2005]. აღნიშნულის გამოა იგი ადრე-ყორღანულის ნაცვლად ენეოლითურ ხანას მიკუთვნებული, რაც თითქოს შიდა სტრატოგრაფიითაცაა განმტკიცებული [Пхакაძე 2004]. მაგრამ შიდა სტრატოგრაფია – ენეოლითურ ნაშთებზე მტკვარ-არაქსული ფენის არსებობა აქ არ დაფიქსირებულა ძეგლის შესწავლის არც სანყის ეტაპზე და არც მომდევნო, 2003-2005 წლებში წარმოებული გათხრებით [ორჯონიკიძე 2005; ჯიბლაძე, ორჯონიკიძე 2014]. ორმოთა „დაცული“ მდგომარეობა და მასალის იდენტიფიკაცია გამორიცხავს ამავე ფენაში სხვადასხვა ხანის ორმოების ან ამ ორმოებში განსხვავებული პერიოდის ნაშთების არსებობას [ჯაფარიძე 2013:8]. ორჭოსნის უხეში კერამიკა ბედენური ნასახლარების თიხის ჭურჭლის მსგავსად, გარკვეულ სიახლოვეს მართლაც ამჟღავნებს ენეოლითურ კერამიკასთან, მაგრამ მთლიანობაში, ადრეული ხანის ეს ნაწარმი მაინც განირჩევა მეტი სიუხეშით, ნამჯიანი კეციით, ორნამენტის ხასიათით. სხვაობა ჩანს მრავალფეროვანი და უხვი არაკერამიკული მასალითაც.

გაცილებით მეტი საერთო შეიძლება დავინახოთ ადრესამინათმოქმედო კულტურის ბოლო პერიოდის-წოფის თუ წოფი-გინჩის სახელწოდებით ცნობილი ძეგლების კერამიკასთან [ნებიერიძე 2010; ჩიქოვანი 1999], რომელსაც დასავლეთ საქართველოს გამოქვაბულების მასალასთანაც აახლოვებენ და თვლიან, რომ ამ ხანაში არსებობდა დასავლეთი და ცენტრალური ამიერკავკასიის კულტურული ერთობა, რომელიც წარმოიქმნა დასავლეთ საქართველოს უფრო ადრეული კულტურის საფუძველზე [ჯაფარიძე 2006:271]. ამით აიხსნება დასავლეთი საქართველოს ენეოლითური ხანისა და წოფის კულტურებს შორის არსებული ბევრი საერთო [ნებიერიძე 2010:127]. სწორედ ამ ნაწარმში ვხედავდით ორჭოსნის ნასახლარის თიხის უხეში ჭურჭლის პროტოტიპებს [ორჯონიკიძე 2005: 70-71]. თუმცა, ორჭოსნის არარსებული შიდა სტრატოგრაფიის საფუძველზე გაუმართლებელია ამ ძეგლის გაერთიანება უშუალოდ წოფის კულტურაში, არც წოფის ფინალური ეტაპის ძეგლების ადრე მტკვარ-არაქსულთან სინქრონულობის უარყოფა უნდა იყოს მართებული [ნებიერიძე 2010: 108,126]. არსებული მონაცემებით ჩანს, რომ წოფის კულტურასთან ურთიერთობა საქართველოში მტკვარ-არაქსის ადრეული საფეხურიდანვე შეინიშნება [Варазашвили 1992:54; კიდურაძე 2011:34]. საკუთრივ წოფში, „დაცულ“ ორმოებში წი-

ნააზიურ-ურუქულთან და ადგილობრივ უხემ ნაწარმთან ერთად უკვე ხედავენ მტკვარ-არაქსული კერამიკის ამოსავალ ფორმებს [ნებიერიძე 2010:68]; ხოლო ბერიკლდეების ნასახლარის ქვედა ფენაში ენეოლითურთან ერთადაა ისეთივე ნაწარმი, როგორიც მის ზედა, ადრე მტკვარ-არაქსულ ფენაშია აღმოჩენილი [კილურაძე 2011:38]. დასავლეთი საქართველოს გამოქვაბულების ზედა ჰორიზონტებშიც ადგილობრივი უხეში კერამიკის გვერდითაა სამხრეთული წარმომავლობის, ჩარხზე ნაკეთები ურუქული ნაწარმი, რომელსაც მაიკოპურსაც უწოდებენ [ფხაკაძე 1985:28]. ასეთი სურათია სამელე და სამერცხლე კლდეში, მონამეთას მღვიმესა და სხვა გამოქვაბულებში, სადაც წარმოდგენილია უკვე შავ და ნაბლისფერპირილა მოგვიანო იერის მტკვარარაქსული ჭურჭელი ნახევარფერული ყურებით [ფხაკაძე 1993:44].

მართალია, ბედენური ხარისხიანი კერამიკა ამ გამოქვაბულებში თითქოს არ გვხვდება, მაგრამ მისი თანადროული უნდა იყოს აქვე აღმოჩენილი გვიან მტკვარ-არაქსულ-მარტყოფული ტიპის ყურების მქონე ფრაგმენტები [ორჯონიკიძე, ჯიბლაძე 2010]. არქაული იერის უხეში და ხარისხიანი ბედენური კერამიკის თანაარსებობა გამოჩნდა კოლხეთის დაბლობის ღია ნასახლარებზე [ჯიბლაძე 2007].

აღსანიშნავია, რომ დასავლეთი საქართველოს გამოქვაბულების ამავე ფენების კერამიკის უმეტესობას ადგილობრივი უხეში ნაწარმი შეადგენს. ცალკე ურუქული, ან ცალკე მტკვარ-არაქსული ფენების არსებობა, ორჭოსნის მსგავსად არც აქ დასტურდება. აქ ამ კულტურათა ნაწარმის მხოლოდ ერთეული ფრაგმენტებია აღმოჩენილი [ფხაკაძე 1993:44]. ამიტომ, ნაკლებად სარწმუნოა ურუქის კულტურის ჩრდილოეთით, მაიკოპისკენ გადაადგილების უმთავრეს მაგისტრალად დასავლეთ საქართველოს რეგიონის მიჩნევა. ურუქის ეთნო-კულტურული გავლენები უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო საქართველოსთან მოსაზღვრე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, სადაც დამახასიათებელი კერამიკა მრავლად გამოვლინდა ლეილა-თეფესა და მახლობლად მდებარე არაერთ ნასახლარზე [Ахундов 2001:18]. არქაული იერის მქონე უხეში თიხის ჭურჭლით წარმოდგენილი ნოფური ტრადიციები მოგვიანოდაც გრძელდება, მაგრამ მტკვარ-არაქსის კულტურის ტიპიურ ძეგლებზე იგი ნაკლებად აისახა. მისთვის ამგვარი კერამიკა უცხო დარჩა [ორჯონიკიძე 2005].

შენიშნულია, რომ ნოფის წრის ძეგლებისათვის ადგილობრივი არქაული კერამიკის სიჭარბე ურუქულთან შედარებით დამახასიათებელია საქართველოსთვის, განსხვავებით აზერბაიჯანისაგან,

სადაც ეს შეფარდება პირიქითაა [ნებიერიძე 2010:137]. ვარაუდობენ, რომ ურუქული ნაწარმი აზერბაიჯანში ირანის მხრიდან უნდა მოხვედრილიყო ნოფის გვიანი ეტაპისა და ადრეული მტკვარ-არაქსის დროს [Мунчаев, Амиров 2014:113-114]. აქვე, ფოილე II და ბიუიკ-კასიკზე კარგად ჩანს ურუქისა და მტკვარ-არაქსის კულტურათა ელემენტების თანაარსებობა [Мусейбли 2007:149]. მურადაის ნასახლარზე მტკვარ-არაქსულთან ერთად იყო თხიერი თიხით შელესილი უხეში კერამიკა სავარცხლისებრად დაღარული ზედაპირით, რასაც გვიან ენეოლითისა და ბედენისათვის დამახასიათებლად თვლიან [Ахундов 2001:21].

ნახჭევანში, მახტე I ნასახლარის ადრებრინჯაოს ხანის კერამიკაც შეიცავს სავარცხლისებრ დაღარულ-ზედაპირიან ჭურჭელს და გვიან მტკვარ-არაქსულ ცრუყურიან ფრაგმენტებსაც. ერთ შეწყვილებულ ნახევარსფერულ ყურს ამავე ნასახლარიდან თვლიან მტკვარ-არაქსის კულტურაში ერთადერთ და აქამდე სრულიად უცნობ ეგზემპლარად [Ашуров, Бахшалиев, Алиев 2010:65-67]. თუმცა, მსგავსი ყური უკვე კარგა ხანია ცნობილია საქართველოს მტკვარ-არაქსულ ძეგლებზე: ხიზანანთგორის C ფენაში იგი დისკოსებრ სარქველზეა მოცემული [კიკვიძე 1972: ტაბ.24], ქვაცხელას № 9 სამარხში კი ყელმალალ ჭურჭელზეა [Glonti at al 2008:Fig.12]. არის ის ჯავახეთშიც, სათხეს გვიან მტკვარ-არაქსულ ნასახლარზე [ქიქოძე და სხვ. 1998:ტაბ. 3]. ორმაგი ყური უფრო ბედენური კულტურისთვის დამახასიათებლად მიგვაჩნია, განსაკუთრებით შიდა ქართლის ნასახლარებისათვის [ქიქოძე და სხვ. 1998:43], ხშირად წარმოდგენილს შვერილებიან და ზედაპირდაღარულ არქაული იერის კერამიკასთან ერთად [ჯალაბაძე 1998; რამიშვილი 2013].

აზერბაიჯანიდან ურუქული კერამიკა ჩრდილოეთით, დაღესტნისკენაც იკვლევს გზას და იქაც თანაარსებობს გვიან მტკვარ-არაქსულ-ბედენურ ნაწარმთან ველიკენტ II, სერჟენიურტზე, გემე-ტუბე I და სხვა ძეგლებზე [Гаджиев 1991:134; Мунчаев, Мерперт, Амиров 2010:341; Мунчаев, Амиров, Магомедов 2010:320]. ცნობილია, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიის მტკვარარაქსული ძეგლები არ მიეკუთვნება უადრეს სტადიას. აქ, განსაკუთრებით მთის ზოლში, არქაული კერამიკა დიდხანს შემორჩა და თანაარსებობდა სამხრეთი კავკასიიდან გავრცელებულ მტკვარ-არაქსულ ნაწარმთან, რომლის მოგვიანო ასაკზე მეტყველებს აქვე აღმოჩენილი ბედენური ხარისხიანი ჭურჭელიც [მახარაძე 1998:31]. ეს უხეში კერამიკა იქაც გამოიყენებოდა როგორც გვიან-ენეოლითურ, ისე ადრებრინჯაოს ხანაში [Ахундов, Махмудова 2008:56].

ჩრდილო კავკასიაშივე, გალიუგაის ნასახლარზე, სადაც ორჭოსნის ბრინჯაოს თოხის ანალოგიური იარაღია აღმოჩენილი, ჩარხზე დამზადებული ურუქული კერამიკის გვერდითაა ნოფის ტიპისა და ხიმშიანთმინის მსგავსი მტკვარარაქსული ნაწარმი [Кореневский 2004:91,96; ნებიერიძე 2010:117]. იგივე სურათია ჩრდილო ოსეთშიც – მაუ-ლეგათისა და რედანტის კომპლექსებში, სადაც ერთადაა მტკვარ-არაქსული, მაიკოპური და ნოფური კერამიკა [Ростунов 2005:159-163; ნებიერიძე 2010:116]. მაიკოპისა და მტკვარ-არაქსის კულტურათა ურთიერთობას აღნიშნავენ ჩრდილო კავკასიის ორ სხვა ნასახლარზეც – ლუგოვოესა და სერეგინსკიზე [Мунчаев 1975:346; კილურაძე 2011:40].

აღმოსავლეთ ანატოლიაში, საიდანაც ივარაუდება საქართველოს ტერიტორიაზე ამ სამხრეთული პროდუქციის გავრცელების უმთავრესი წყარო [ჯაფარიძე 2011:181], გვიანურუქულთან ერთადაა მტკვარ-არაქსულიც. მათი თანაარსებობა განსაკუთრებით ნათლად გამოიკვეთა ისეთ მნიშვნელოვან ნასახლარზე, როგორცაა არსლან-თეფე, სადაც აღმოჩნდა ქვაცხელას და გუდაბერტყას სპილენძის დიადემების მსგავსი სამკაული [მინდიაშვილი 2012:7; შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, ნარიმანიშვილი 2016:25], რაც ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისისათვის ამ მხარეში ძველი ურუქული ტრადიციებისა და ახალი, კავკასიელი მიგრანტების თანაარსებობითაა ახსნილი [Palumbi 2011:47-59].

კიდევ უფრო მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება ილტოს ნასახლარზე ორჭოსნის მსგავსი უხეში კერამიკის თანაარსებობა გვიან მტკვარ-არაქსულ და ბედენურ ფაქიზ კერამიკასთან [Дедабришвили 1969:48-56]. იგივე სურათია ზველის რაბათსა და ციხიაგორის ზედა ფენებშიც [ორჯონიკიძე 1983:106; მახარაძე 1994:72-74, ტაბ. LXXX]. მაგრამ ყველაზე მასშტაბურად ბედენური ფაქიზი, ნოფის ტიპის უხეში და მტკვარ-არაქსული თიხის ჭურჭლის თანაარსებობა წარმოჩნდა ხაშურის ნაცარგორის ნასახლარზე [რამიშვილი 2013:31, ტაბ. XX, XVIII, XXXI].

ამრიგად, არასრულად მოტანილი მონაცემებითაც ჩანს, რომ უხეში, არქაული იერის თიხის ჭურჭელი ბედენური კერამიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. იგი უახლოვდება კავკასიაში, ადრესამინათმოქმედო ხანაში გავრცელებულ ნაწარმს, რომლის არეალი მოგვიანებით-მაიკოპისა და მტკვარ-არაქსის კულტურათა დამკვიდრების ხანაში მნიშვნელოვნად იზღუდება, მაგრამ ზოგან – დასავლეთ საქართველოსა [ჯაფარიძე 1976:169] და განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში [მახარაძე 1998:31] მისი დამზადების ტრადიცია კვლავ გრძელდება. ამ

ოლქებთან კავშირების გააქტიურება აისახა კიდევ აღმოსავლეთ საქართველოში ბედენის კულტურის კომპონენტების გამოჩენით.

ტრადიციულ მტკვარ-არაქსულ არეალზე განსხვავებული – ბედენური კულტურის გავრცელებამ იმთავითვე არაერთი კითხვა წარმოშვა: ეს კულტურა ადგილობრივ ნიადაგზე იყო წარმოქმნილი, თუ მის ფორმირებაში მთავარი როლი გარეგანმა ფაქტორმა ითამაშა; ეს იყო პროცესი დამახასიათებელი ელემენტების თანდათანობით შემოღწევისა, თუ საქმე გვაქვს ერთჯერად გლობალურ ინვაზიასთან; სად მიმდინარეობდა ამ კულტურის ჩამოყალიბება და სხვა. მისი საწყისების ძიება ტრადიციულ მტკვარ-არაქსულ არეალზე სავსებით ბუნებრივი ჩანდა, მაგრამ სხვაობა ამ კულტურათა ძირითად მახასიათებლებს შორის შეუძლებელს ხდიდა ბედენის კულტურის გამოყვანას წინამორბედიდან.

ბედენური ზოგი ფორმა, განსაკუთრებით ხარისხიანი ნაწარმისა გარკვეულ სიახლოვეს პოულობს წინააზიურ სამყაროში. არ გამორიცხავენ, რომ სამხრეთიდან ადგილმონაცვლე ტომებს ჩრდილოეთით – მაიკოპისკენ გადაადგილებისას გადააქვთ ბედენური ჭურჭელიც [გობეჯიშვილი 1981:134], რა დროსაც მათ უნდა გაეველოთ ორჭოსანზეც, სადაც მაიკოპის ტიპის ნიკელიანი ბრინჯაოს თოხია აღმოჩენილი [ინანიშვილი, ჯიბლაძე 2009-2010].

მაგრამ მეტი საერთო ბედენურ კერამიკას, განსაკუთრებით მასობრივი მოხმარების უხეშ ნაწარმს, თითქოს ჩრდილო ოლქების ადრეული კულტურების თიხის ჭურჭელში უფრო უჩანს. აღინიშნა კიდევ, რომ თუ მოსახლეობის ახალი მასის გამოჩენაზე შეიძლება ლაპარაკი, ეს უფრო ჩრდილოეთის მხრიდან უნდა მომხდარიყო [ჯაფარიძე 1989:34-35].

ყოველნაირი კულტურის გამოჩენას, მოსახლეობის გარკვეული მასის გადმოსვლას კი შედეგად მოყვა ადრეული კერამიკული ტრადიციების გამოცოცხლებაც. კონსერვატულობით გამორჩეულმა ჩრდილო-აღმოსავლეთმა კავკასიამ [მახარაძე 1998:31] შემოინახა ნოფური კერამიკული ნიშნები, რომლებიც ბედენის პერიოდში აღორძინდა და ჩრდილოურ ელემენტებთან ერთად დამახასიათებელი გახდა სამხრეთი კავკასიის ბედენური ნასახლარებისათვის [ორჯონიკიძე 2014]. სამცხესთან დაკავშირებით ჩანს, რომ ამ პროცესში გარკვეული როლი უნდა ეთამაშა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიულ სიახლოვეს, იქ გავრცელებულ არქეოლოგიურ კულტურებს, რამაც თავისებური სახე შესძინა ორჭოსნის კერამიკულ ნაწარმს. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ორივე ნაწილს შორის მტკვარ-არაქსის ხანაში დაწყებული ურთიერთობა აქ ბედენის კულტურის დროსაც გაგრძელდა [ორჯონიკიძე 2005:72-73].

ორჯონიძის ნასახლარზე აღმოჩენილი მცირე ზომის ანთროპომორფული ორივე ქანდაკება გამომწვარი თიხისაა, რითაც მკვეთრად განსხვავდება ადრესამინათმოქმედო ხანის შულავერ-შომუთეფეს კულტურის მთლიანად გამოწვავი თიხისაგან ნაკეთები ფიგურებისაგან და უფრო მეტად უახლოვდება მტკვარ-არაქსულ ნაწარმს. ორივე ქანდაკება ქალის სტილიზებულ ფიგურას წარმოადგენს (ტაბ. II). ერთი გაპრიანებულია შავად, აქვს ზარისებრი ფორმის ძირშედრეკილი ტორსი, განზე გაზიდული, პირობითად გამოსახული ხელები და ტანიდან გამოყოფილი კონუსური თავი [ორჯონიკიძე 2005:ტაბ. V]. იგი ემსგავსება შიდაქართლურ ფიგურებს. ასევე დასავლეთ საქართველოს – ისპანის ნასახლარის ფიგურას, აღმოჩენილს აღმოსავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის სხვა ნაწარმთან ერთად. მაგრამ განსაკუთრებულ სიახლოვეს იჩენს სომხეთში არიჭის გვიან მტკვარ-არაქსული ხანის ქანდაკებასთან, რომლის თანმხლები კერამიკა ბედენურ ნიშნებსაც ავლენს [ორჯონიკიძე 1983:107]. გარკვეული მსგავსება ჩანს ნახჭევნის მტკვარ-არაქსული ნასახლარის ანთროპომორფულ ფიგურასა და შიდა ქართლის-ციხიაგორის A ფენის ქანდაკებებთანაც [Ashurov 2014:61; მახარაძე 1994: ტაბ. LXXI]. აღსანიშნავია, რომ ციხიაგორის ეს ფენაც შეიცავს მტკვარ-არაქსულ და ბედენურ თიხის ჭურჭელს [მახარაძე 1994:70]. როგორც ჩანს, ორჯონიძის ქანდაკება არსებითად განსხვავდება რა წინამორბედი ხანის ნაკეთობებისაგან, მიეკუთვნება მტკვარ-არაქსის კულტურაში ჩამოყალიბებულ ტიპს, რომელიც მეტ მსგავსებას იჩენს მცირე აზია-აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთის ფიგურებთან [ჯავახიშვილი 1984:40], მეტადრე ადრებრინჯაოს ხანის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ანატოლიურ ნაწარმთან, ვიდრე სამხრეთ და დასავლეთი ანატოლიის ფიგურებთან, რომლებიც არ იძლევა მტკვარ-არაქსულის მსგავს ფორმებს [Антонова, Есаян 1988:219-237].

შულავერ-შომუთეფესთან მეტი საერთო თითქოს უჩანს ორჯონიძის მეორე ფიგურას, აღმოჩენილს ბრინჯაოს თოხთან და მტკვარ-არაქსულ კერამიკასთან ერთად. იგი წარმოადგენს მუხლმოდრეკილ და მჯდომარე პოზაში გამოსახულ ქალს, პოზითა და ფორმის მოდელირებით რამდენადმე მსგავსს ადრესამინათმოქმედო ხანის ფიგურებისა. მაგრამ გამოწვით, სტილიზაციის მანერითა და ცალკეული ნაწილების გამოსახვით უფრო ახლოს მდგომს ქვაცხელასა და სომხეთის ადრებრინჯაოს ხანის ფიგურებთან [Хвистани 2005:172-173].

მართალია, ადრებრინჯაოს ხანის საქართველოში მდგარი, ძირითადად მამაკაცის სქემატური გამოსახულებები გვხვდება, მაგრამ ჩანს არც ქალის ფიგურაა მისთვის უცხო. არგვეთის ნასახლარზეა ქვისგან გაკეთებული ქალის ტორსის ფრაგმენტი, მაღალი ყელითა და კარგად გამოსახული მკერდით [ფხაკაძე 1993:61], ხოლო სომხეთში, მენამორში, ორჭოსნის ამ ქანდაკების მსგავსად მჯდომარე პოზაში გამოსახულ თიხისგან გაკეთებულ ქალის ფიგურას ვხედავთ [Piliposyan 2014: pl. III-2]. გამომწვარი თიხის ქალის მცირე ფიგურებია შენგავითშიც [Шенгавит, каталог 2015: таб. 51-57].

* * *

ორჭოსნის ნასახლარის მოყვითალოდ გამომწვარ ღილისებრი ფორმის თიხის საბეჭდავის მრგვალ და ბრტყელ ძირზე დატანილია ტეხილხაზოვანი გამოსახულება, მომცრო ზომის კონუსურ სახელურზე კი – თოკის გასაყრელი ნახვრეტი (საინვენ. № 482) [ტაბ. II].

საქართველოსა და საერთოდ, სამხრეთ კავკასიაში ქვისა და თიხის სხვადასხვა ტიპის საბეჭდავია აღმოჩენილი. უადრესი საბეჭდავები აქ ადრესამინთამოქმედო კულტურის ხანას განეკუთვნება [Муσειли 2007:125; შანშაშვილი, შერაზადაშვილი 2013:7-25]. მისი, როგორც საკუთრების არსებობის მანიშნებლის აქ გამოჩენა წინააზიურ სამყაროსთან ურთიერთობის გაძლიერებას, ჩრდილო მესოპოტამიიდან შემოსულ მიგრანტებს უკავშირდება [Муσειли 2007:125].

ძველ აღმოსავლურ სამყაროში საბეჭდავს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. აქედან იგი სხვადასხვა მიმართულებით ვრცელდება. მისი არაერთი ტიპი სამხრეთ კავკასიაშიც იკვლევს გზას. ყველაზე ადრეულად მიჩნეულია შტამპური ტიპის საბეჭდავი, რომელიც ერთი დაჭერით ერთ ანაბეჭდს ტოვებს. ამგვარ საბეჭდავზე ძირითადად გეომეტრიული კომპოზიციებია მოცემული, რომელთა ანალოგებს მრავლად ვხვდებით სირიაში, მცირე აზიაში, ირანსა და მესოპოტამიაში [Пилипосян 98: ტაბ. I-VIII]. ცნობილია ის აღმოსავლეთ ევროპაშიც – ტრიპოლიეს კულტურის ძეგლებზე [Энеолит ССР 1982:ტაბ. LVIII].

საბეჭდავის სწორედ ეს ტიპია ორჭოსანზე. თიხის მსგავსი საბეჭდავი აღმოჩნდა გორთან, გუდაბერტყას მტკვარ-არაქსულ ნასახლარზე ქვის კონუსური და პირამიდული საბეჭდავების გვერდით. მას ძირზე ფართო და ღრმა ღარებით გამოყვანილი

ჯვრისებრი გამოსახულება აქვს, მკლავებს შორის ჩახაზული შევრონებით [Sherazadashvili 2014:pl. I]. ეს საბეჭდავი იმ არე-ალზეა ნაპოვნი, საიდანაც ბრინჯაოს დიადემებია ცნობილი, რომელთა მეტ-ნაკლებად მსგავსი ანალოგებია ქვაცხელას სამა-როვანზე და აღმოსავლეთ ანატოლიის მრავალფენიანი ნასახლარის – არსლან თეფეს VIB ფენის ე.წ. სამეფო სამარხში, რაც საშუალებას იძლევა, გუდაბერტყას ეს ეგზემპლარები მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების შუა და გვიანი პერიოდებით დათარიღდეს [მინდიაშვილი 2012:4-11]. აქვეა საბეჭდავი, რომლის უახლოეს პარალელად მიჩნეულია ყაჩაღბლურისა და ტალინის (სომხეთი) ცალები, მსგავსი ორნამენტით ძირზე [მანშაშვილი, შერაზადაშვილი 2013:7-25; Sherazadashvili 2014:170]. უკანასკნელი აღმოჩენილია კოლექტიურ ყორღანში სპილენძის რგოლთან ერთად, რომელსაც შენადნობში კალა გააჩნია, რაც მტკვარ-არაქსისათვის უცხოა [Avetisyan, Muradyan, Sargsyan 2010:161-165]. სამაგიეროდ, ცნობილი ხდება ის ბედენის კულტურაში, სადაც პირველად იჩენს თავს [ჯაფარიძე 2013:17]. ტალინის მოკლე სამკუთხაპირიანი სატევრის ანალოგებიც ასევე ადრეყორღანულ ძეგლებზეა [ორჯონიკიძე 2015:16]; ქვის ყუნწიანი ისრისპირი ამავე ძეგლიდან, ახლო დგას ბედენის № 12 და კუდურლუს ბედენურ იარაღთან [შატბერაშვილი, შატბერაშვილი 2014: ტაბ. 13; Ахундов 2001:131-132]. კიდევ უფრო მოგვიანო იერისაა აქვე აღმოჩენილი შუაბრინჯაოს ხანისათვის ტიპიური ფუძე-ამოღარული ისრისპირი [Avetisyan, Muradyan, Sargsyan 2010:Fig. 3]. გუდაბერტყას ცალის თანადროული უნდა იყოს ქვემო არანისის საბეჭდავი, მრგვალ ძირზე გამოყვანილი სამი კონცენტრული რელიეფური წრით. მის უახლოეს პარალელად მიჩნეულია აღმოსავლეთ ანატოლიაში, პულურზე აღმოჩენილი ეგზემპლარი [მანშაშვილი, შერაზადაშვილი 2013:11].

ურუქსა და ჯემდეთ-ნასრის პერიოდს უკავშირებენ ორჭოსნისგან განსხვავებული ტიპის საბეჭდავებს გრაკლიანიდან [Личели, Самсониа 2010:182-183]. ამ კულტურებისა და მტკვარ-არაქსის ნაწილობრივი სინქრონულობა ჩანს მახლობელი აღმოსავლეთის არაერთ ძეგლზეც, მათ შორის სირიაში ტელ-ჰაზნაზე, სადაც მტკვარ-არაქსულ ნაწარმთან ერთად ვხედავთ თიხისა და ქვის საბეჭდავებს, რომელთა ანალოგები გვიან-ურუქული და ადრედინასტიური ხანით თარიღდება [Мунчаев, Мерперт 2001:51-62; Мунчаев, Амиров 2014:113-114].

ბერიკლდეების ბედენური ფენის ალებასტრის ცილინდრული საბეჭდავის ტანი და ძირიც შემკულია ამოღარული წრეების

ცენტრში ჩასმული ნერტილებით [Jalabadze 2014: Fig. 24]. მსგავს ორნამენტს მრავლად ვხვდებით ბედენურ და შუაბრინჯაოს ხანის არაერთ ნაწარმზე.

ორჭოსნის საბეჭდავის დაზიანებული გამოსახულება შეიძლება შევუდაროთ ჯვარ-შეკრონებიან საბეჭდავებს, რომლებიც თითქოს ირანისთვის უფრო იყო დამახასიათებელი [მანშაშვილი, ნარიმანიშვილი, ნარიმანიშვილი 2016:31].

აღსანიშნავია, რომ მტკვარ-არაქსისა და ბედენის დროს საბეჭდავი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული. როგორც ჩანს, წინააზიური გავლენები აქ დასავლეთ საქართველოსთან შედარებით უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო, რასაც ხელს უწყობდა იმდროინდელი საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური განვითარების სათანადო დონის არსებობა.

* * *

ურუქის პერიოდი ძალზე მნიშვნელოვანია მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაში. ამ დროს იდგმება პირველი ნაბიჯები ძველი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში. ლითონზე მოთხოვნილების გაზრდამ განაპირობა ურუქული ექსპანსიის წარმართვა მეტალით მდიდარი ანატოლიისაკენ. ფიქრობენ, რომ აქედან ეს კულტურა ვრცელდება ჭოროხის აუზში [ჯაფარიძე 2011:181]. მასვე მიეწერება განსაკუთრებული როლი კავკასიაში ბრინჯაოს მეტალურგიულ წარმოებაზე გადასვლაში; მტკვარ-არაქსის კულტურის მაღალგანვითარებული ბრინჯაოს მეტალურგიის წარმოების საფუძვლები, შესაძლოა კავკასიაში გავრცელებული ურუქის კულტურის ნიაღში იყოს საძებარი. არაა გამორიცხული, რომ შუამდინარული ცივილიზაციის ფართო ექსპანსიამ ანატოლიაში, კავკასიასა და ჩრდილო შუამდინარეთში დასაბამი მისცა ბრინჯაოს პალეომეტალურგიული თვალსაზრისით, ერთსახოვანი კულტურათა ბლოკის ჩამოყალიბებას ბრინჯაოს წარმოების ადრეულ საფეხურებზე, რომელიც ცნობილია შავი ზღვის ირგვლივი – ცირკუმპონტოს გაერთიანების სახელწოდებით [ფიცხელაური 2013:58-59].

კავკასიისათვის დამახასიათებელი დარიშხანიანი ბრინჯაოს ფონზე სიახლეა ნიკელიანი ბრინჯაოს ნივთების გამოჩენა მაიკოპის კულტურაში. რამდენადაც ნიკელი კავკასიაში არ გვხვდება, მისი შემოტანა სამხრეთიდან ივარაუდება, სადაც იგი კარგად იყო ცნობილი [Авилова 2010:71]. მისი აქ არსებობა აიხსნება წინააზიასთან მჭიდრო ურთიერთობით. ფიქრობენ, რომ

სამხრეთი კავკასია თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და სტრატეგიული ფუნქციის გამო წარმოადგენდა ერთ-ერთ ძირითად მაგისტრალს, რომელზეც გადიოდა ძველი ცივილიზაციების კულტურული იმპულსები ჩრდილო კავკასიაში, მაიკოპის კულტურაში [ინანიშვილი, მაისურაძე, გობედჯიშვილი 2010:157-160].

სწორედ მაიკოპურ თოხთან პოულობს ყველაზე მეტ საერთოს ორჭოსნის ნასახლარზე აღმოჩენილი, სამხრეთი კავკასიისათვის უცნობი ფორმის ნიკელიანი ბრინჯაოს თოხი. იგი განსაკუთრებით ახლოს დგას გალიუგაის ცალთან [Джибладзе 2005:100-101], რომელთან ერთადაც მტკვარ-არაქსული სადგრები და ურუქისა და წოფის ტიპის კერამიკაა აღმოჩენილი [Корневский 2004:91,94; ნებეირიძე 2010:117]. განისაზღვრა გზაც, რომლითაც ნიკელიანი ბრინჯაოს თოხი სამხრეთიდან ორჭოსანზე გავლით ჩრდილო კავკასიაში, მაიკოპის კულტურის არეალზე უნდა მისულიყო [ინანიშვილი, დჯიბლადე 2009-2010; ფიცხელაური 2012:72].

ნიკელის შემცველი ბრინჯაოს ამგვარი თოხის სამხრეთიდან გამოჩენის იდეას ბუნებრივია, მხარს უნდა უჭერდეს წინააზიურთან მისი ტიპოლოგიური მსგავსებაც. მაგრამ რამდენადაც მაიკოპურ თოხს არ უჩანს მჭიდრო კავშირი წინააზიურთან, მას ადგილობრივ, ჩრდილოკავკასიური წარმომავლობისად მიიჩნევენ მით უფრო, რომ იმპორტი მაიკოპელთა ლითონის ნივთებში თითქოს არ შეინიშნება [Корневский 2004:96]. ფიქრობენ, რომ ლითონის იარაღი ყუბანისპირეთში მიგრირებული მოსახლეობის მიერ წინააზიური ნაწარმის მიბაძვით ადგილზეა დამზადებული. ალბათ ამიტომაცაა, რომ მისი ზუსტი ანალოგები სამხრეთის იარაღთან არ ჩანს [ჯაფარიძე 2013:7-8].

სწორედ ამ გარემოებამ, მაიკოპური თოხის წინააზიურთან მჭიდრო პარალელების არარსებობამ და ორჭოსნის იარაღის განსაკუთრებულმა სიახლოვემ ჩრდილო-კავკასიურთან, გვაფიქრებინა მისი დაკავშირება უფრო მაიკოპთან, ვიდრე წინააზიასთან და სამცხეში მისი გამოჩენა გვევარაუდა ჩრდილო კავკასიის მხრიდან დასავლეთი საქართველოს გზით [ორჯონიკიძე, ჯიბლაძე 2010:106]. თუმცა, მალევე, მხოლოდ სპექტრალური ანალიზის საფუძველზე, შენადნობში ნიკელის არსებობის გამო, ორჭოსნის ეს თოხი ურუქის პირდაპირ ექსპანსიას დაუკავშირდა და აქ სამხრეთიდან შემოსულად იქნა მიჩნეული [ინანიშვილი, დჯიბლადე 2009-2010:110], რასაც ვერ გავიზიარებთ [ორჯონიკიძე 2011:229]. ორჭოსნის თოხის მესხეთში გამოჩენა ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ჩრდილოეთიდან მაიკოპის კულტურის სამხრეთით გადაადგილებას დაუკავშირა ოთ. ჯა-

ფარიძემ. ეს კი ის დროა, როცა სამხრეთ კავკასიაში თავს იჩენს ჩრდილო ოლქებისათვის დამახასიათებელი სამარხის ტიპი – ყორღანი [ჯაფარიძე 2013:8; Резепкин 2012:114]. მაიკოპის კულტურის სამხრეთით, მათ შორის ორჭოსნისკენ გადაადგილებას აღნიშნავენ სხვა მკვლევარებიც [Ахундов, Махмудова 2008:80].

თოხის გარდა, ორჭოსანზე ნაპოვნია ნიკელიანი ბრინჯაოსაგან დამზადებული კიდევ ერთი ნივთი – პირამიდულთავიანი ისრისპირიც, დამახასიათებელი იარაღი ადრეული ყორღანებისათვის [ჯაფარიძე 2013:8]. ამ ტიპის ბრინჯაოს ისრისპირი შენადნობში ნიკელით, ცნობილია შიდა ქართლშიც, ხელთუბნის ყორღანიდან [ლამბაშიძე და სხვ. 2010:422]. საქართველოს ფარგლებს გარეთ კი მას უფრო მეტად ჩრდილო კავკასიასა და კიდევ უფრო ჩრდილოეთით მდებარე ოლქებში ვხვდებით [Багаев 1986:рис. 3; Клещенко 2011:рис. 3; Гак 2011:рис. 3-4].

რამდენადაც ამგვარი იარაღი მხოლოდ ადრე-ყორღანულ კომპლექსებშია აღმოჩენილი და არ გვხვდება არც წინარე – მტკვარ-არაქსისა და არც მომდევნო – თრიალეთის კულტურებში [ჯაფარიძე 1998:81], მას მტკიცე დამატარილებელ მნიშვნელობას ანიჭებს, ანალოგიურად ორჭოსნის გრძელპირა და არაპროპორციულად მოკლევუნნიანი იარაღისა [ლამბაშიძე და სხვ. 2010: ტაბ. 014, 53], რომლის პარალელები ცნობილია ბერიკლდეების ბედენური ფენიდან [ჯალაბაძე 1998: ტაბ. IX-8], ბედენის № 2 ყორღანიდან [გობეჯიშვილი 1981: ტაბ. X], ჟინვალის სამლოცველოდან [Gogochuri 2008:Fig.13-14] და ეშერის VI ყორღანიდან [ლამბაშიძე სხვ. 2010.ტაბ. 014; LVI].

ასე, რომ ლითონის ნანარმითაც კარგად გამოჩნდა ორჭოსნის ნასახლარის მჭიდრო კავშირი ბედენურ ხანასთან (ტაბ. 1).

Alexander Orjonikidze

Archaic Elements on Bedeni Ceramics

Summary

The ceramic vessels having archaic appearance have frequently been the misleading reason for dating the Bedeni monuments by earlier dates than they really are. The resemblance of Bedeni ceramics with that of earlier period can be explained by strengthening the relationships of eastern Georgia with western Georgia and northeastern Caucasus those were distinguished with their conservativeness. These relationships were the reason of reviving the archaic elements on the clay vessel from Bedeni culture settlements.

ლიტერატურა

- გობეჯიშვილი გ. 1981: ბედენის გორასამარხების კულტურა. თბილისი.
- გოგაძე ე. 1972: თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბილისი.
- კიკვიძე ი. 1972: ხიზანანთგორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, თბილისი.
- კილურაძე თ. 2011: აღმოსავლეთ საქართველოს ნეოლითური და ენეოლითური კულტურები, თბილისი.
- მახარაძე ზ. 1994: ციხიაგორის მტკვარარაქსული ნამოსახლარი. თბილისი.
- მახარაძე ზ. 1998: ენეოლით-ბრინჯაოს ხანის კავკასიის არქეოლოგიის ზოგიერთი პრობლემა. - ძიებანი, N1, თბილისი, 27-33.
- მინდიაშვილი გ. 2012: უძველესი დიადემატი შიდა ქართლიდან. - შტუდიეს ინ ჩაუცასიან არცჰეოლოგყ, I, თბილისი. 6-8.
- ნებიერიძე ლ. 2010: ნოფის ენეოლითური კულტურა. თბილისი.
- ორჯონიკიძე ა. 1983: სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში, თბილისი.
- ორჯონიკიძე ა. ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2003 წელს ივნის-აგვისტოში ნასახლარ ორჭოსანზე ჩატარებული სამუშაოების ანგარიში, ხელნაბეჭდი, ინახება ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის სავლე და სამეცნიერო დოკუმენტაციის სექტორში.
- ორჯონიკიძე ა. 2005: ორჭოსნის ნასახლარის ადრეული კომპლექსები. - ძიებანი, N15-16, თბილისი, 69-83.
- ორჯონიკიძე ა. ჯიბლაძე ლ. 2010: ადრებრინჯაოს ხანის კულტურათა ურთიერთობისათვის სამხრეთ საქართველოში. - ბაქო, თბილისი, ჯეიჰანი, თბილისი, 133-141.
- ორჯონიკიძე ა. 2011: ბედენის კულტურა. მეცნიერული აზრის განვითარების ისტორიიდან. - ძიებანი N20, 222-235
- ორჯონიკიძე ა. 2014: ბედენის კულტურის ფორმირების ზოგიერთი ასპექტი. - ანალები, N10, 418-429.
- ორჯონიკიძე ა. 2015: ადრეული ყორღანები საქართველოში, თბილისი.
- რამიშვილი ალ. 2013: ნაცარგორა. ხაშურის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, თბილისი.
- ფიცხელაური კ. 2012: სამხრეთ კავკასია, წინა აზია, ჩრდილო შავიზღვისპირეთი და ევროპა ენეოლით-ბრინჯაოს

- ხანაში – არქეოლოგიურ კულტურათა კონტაქტების დინამიკა. – საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები. თბილისი, 64-88.
- ფიცხელაური კ. 2013: სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ეთნოკულტურული სისტემა ბრინჯაო-რკინის ხანაში, თბილისი.
- ფხაკაძე გ. 1985: დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურის და მაიკოპის კულტურის ურთიერთობის საკითხები. – სას, III, თბილისი, 22-36.
- ფხაკაძე გ. 1993: დასავლეთი ამიერკავკასია ძვ.წ . მე-3 ათასწლეულში, თბილისი.
- ქიქოძე ზ., კოლი ფ., მინდიაშვილი გ., ორჯონიკიძე ა. 1998: ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალა სამხრეთ საქართველოდან. - ძიებანი, № 2, 42-51.
- ლამბაშიძე ი., მინდიაშვილი გ., გოგოჭური გ., კახიანი კ., ჯაფარიძე ი. 2010: უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში, თბილისი.
- შანშაშვილი ნ., ნარიმანიშვილი გ., ნარიმანიშვილი გ. 2016: ვაჭრობა და სავაჭრო გზები სამხრეთ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთს შორის, თბილისი.
- შანშაშვილი ნ., შერაზადაშვილი ზ. 2013: სამხრეთ კავკასიის უძველესი საბჭედავები, გორის მუზეუმის არქეოლოგიური მაცნე, №1, 7-25.
- შატბერაშვილი ზ., შატბერაშვილი ვ. 2014: მარაბდა-ახალქალაქის ექსპედიციის მიერ შესწავლილი ბედენური ყორღანები ბედენის პლატოდან. - ძიებანი, 22, 81-101.
- ჩიქოვანი გ. 1999: ადრესამინათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი თანდინყარო I, სოფ. ხელთუბანთან. - ძიებანი 3, 19-28.
- ჯავახიშვილი გ. 1984: ანთროპომორფული პლასტიკა წარმართული ხანის საქართველოში, თბილისი.
- ჯალაბაძე მ. 1998: ბედენის კულტურა შიდა ქართლში (ბერიკლდეების ნამოსახლარი), საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.
- ჯაფარიძე ო. 1976: ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბილისი.
- ჯაფარიძე ო. 1989: ადრეული ყორღანების კულტურა საქართველოში. – მაცნე, N 2, 26-40.
- ჯაფარიძე ო. 1998: ქართველი ტომების ეთნო-კულტურული ისტორიისათვის ძვ. წ. III ათასწლეულში, თბილისი.
- ჯაფარიძე ო. 2006: ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბილისი.

- ჯაფარიძე ო. 2011: კავკასიის წინააზიის სამყაროსთან ურთიერთობის საკითხებისათვის. – ძიებანი, № 20. 178-196.
- ჯაფარიძე ო. 2013: ბრინჯაოს ინდუსტრიისათვის უძველეს საქართველოში, თბილისი.
- ჯიბლაძე ლ. 2007: კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, თბილისი.
- ჯიბლაძე ლ. ორჯონიკიძე ა. 2014: ორჭოსნის ნასახლარისა და სამაროვნის 2003-2005 წწ. გათხრების ძირითადი შედეგები. – ძიებანი, № 22, 13-34.
- Авилова Л. 2010: Обмен металлом на Ближнем Востоке в раннем и среднем бронзовом веке. - Российская Археология, N 1, Москва, 5-14.
- Антонова Е., Есаян С., 1988: Антропоморфная скульптура Армянского нагорья V-III тыс. до. н. э. - Древний Восток. Этнокультурные связи. 219-237.
- Ахундов Т. 2001: Северо - Западный Азербайджан в эпоху энеолита и бронзы. Баку.
- Ахундов Т., Махмудова В. 2008: Южный Кавказ в Кавказско-Переднеазиатских этнокультурных процессах IV тыс. до. н. э. Баку.
- Ашуров С., Бахшалиев В., Алиев О. 2010: Археологические исследования в Махте I.-АЭФК,65-67.
- Багаев А. 1986: Новый могильник эпохи бронзы в Чечено-Ингушетии.- Новое в археологии Северного Кавказа, Москва.
- Варазашвили В. 1992: Раннеземледельческая культура Иор-Алазанского бассейна, Тбилиси.
- Гаджиев М, 1991: Раннеземледельческая культура Северо-Восточного Кавказа, Москва.
- Гак Е. 2011: Индикаторы металлопроизводства катакомбных культур степной зоны Предкавказья и Юга Доно-Вольжского междуречья. - КСИА, 225, 79-87.
- Дедабришвили Ш. 1969: Памятники эпохи ранней и средней бронзы.- ТКАЭ, I, Тбилиси 35-75.
- Джибладзе Л. 2005: Новая уникальная археологическая находка из Орджошани.- АЭФК, Баку, 100-101.
- Инанишвили Г., Джибладзе Л. 2009-2010: Никелевая бронза на Кавказе. - Археология Кавказа, N2-3, Тбилиси 99-116.
- Инанишвили Г., Маисурадзе В., Гобеджишвили Г. 2010: Древняя бронза Кавказско-Переднеазиатского региона. - АЭФК, 157-160.
- Клещенко А. 2011: Бронзовые ножи и щипля раннего этапа эпохи средней бронзы Закубанья. - КСИА, 225.


- Корневский С. 2004: Древнейшие земледельцы и скотоводы Предкавказья. Москва.
- Личели В., Самсония Н.2010: Месопотамские печати из поселения Граклиани.- АЭФК, 182-184.
- Мунчаев Р.1975: Кавказ на заре бронзового века, Москва.
- Мунчаев Р., Мерперт Н.2001: Культовая башня IIIтыс. до. н. э. в Телл-Хазне I, Сирия.-kavkasia neolit-brinjaos xanis arqeologiis sakiTxebi. Tbilisi, 51-62.
- Мунчаев Р., Мерперт Н., Амиров Ш.2010: Открытие погребения урукской культуры в Тель-Хазне II. - Исследования первобытной археологии Евразии. Махачкала, 335-343.
- Мунчаев Р., Амиров Ш., Магомедов Р.2010: Восточный Кавказ и проблема Кавказско-Месопотамских связей в IV-III тыс. до. н. э- исследования первобытной археологии Евразии. Махачкала 316-334.
- Мунчаев Р., Амиров Ш.2014: Халколит Восточного Кавказа в свете месопотамских культурных влияний. -Материалы международной научной конференции, Махачкала. 113-114.
- Музейбли Н.2007: Энеолитическое поселение Беюк-Кесик,Баку.
- Пилипосян А.1998: Печати Армянского нагорья в системе Древневосточной глиптики, Ереван.
- Пхакадзе Г. 2004: Новый очаг раннеземледельческой культуры Южной Грузии.- АЭФК, 120-121.
- Резепкин А.2012: Новосвободненская культура, СПб.
- Ростунов В.2005: Памятники типа Редант из предгорной зоны Северной Осетии. - АЭФК, 159-163.
- Хвистани Р. 2005: Образец антропоморфной пластики из Орджошани.- АЭФК.Баку 172-174.
- Шенгавит, 2015: Каталог, Ереван.
- Энеолит СССР, 1982, Москва.
- Ashurov S. 2014: The problems of Kura-Araxes culture in the high of recent archaeological excavations in Nakhichevan. – კავკასიისა და ანატოლიის ადრელითონების ხანის არქეოლოგიის პრობლემები. – საერთაშორისო კონფერენციის მასალები. თბილისი, 52-64.
- Avetisyan P., Muradyan F., Sargsyan G.2010: Early bronze age burial maunds at Talin. - Von Maikop bis Trialeti. Bonn, 161-165.
- Burney Ch. 1958: Eastern Anatolia in the Chalcolithic and Early Bronze age. - AS, VIII, 157-209.
- Glonti L., Ketskhoveli M., Palumbi G.2008:The cemetery at Kvatskhelebi.- ANES,19, Peeters, 153-184.

- Gogochuri G.2008: Archaeological Sites of the Early Barrow period in the Aragvi Gorge.-ANES, 19, 37-62.
- Jalabadze M.2014: Bedeni culture and Berikldeebi settlement -problems of early metal age archaeology of Caucasus and Anatolia. Tbilisi. 216-225.
- Palumbi J. 2011:The Arslantepe royal tomb and the “manipulation” of the Kurgan ideology in Eastern Anatolia at the bigining of the third millenium. - Ancestral Landscapes. Lion, 47-59.
- Piliposyan A.2014: Excavation at Metsamor. - კავკასიისა და ანატოლიის ადრელითონების ხანის არქეოლოგიის პრობლემები, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი, 42-59.
- Sherazadashvili Z.2014: The early bronze Kura-Araxes culture seals from Gudabertka settlement. – საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი, 168-181.

ილუსტრაციები:

- ტაბ. I – თიხის ჭურჭელი და ლითონის ნივთები ორჭოსნიდან
- ტაბ. II – თიხისა და ლითონის (№ 4) ნივთები ორჭოსნიდან

ტაბ. I



ტაბ. II

